

ტვინების ბრძოლა

საქალაქო ჩემპიონატი | 24 ნოემბერი 2024

U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა

New York Times-ის სტატიაში აღნიშნულია, რომ გლობალური დატობის გამო, ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ ასეთი ქალაქები ექცევიან. საქართველოში ასეთი ქალაქებია, მაგალითად, ბათუმი და ფოთი. დაწერეთ “ასეთით” შეცვლილი სიტყვა.

პასუხი: ზღვისპირა

კომენტარი: შტორმების გახშირების გარდა, ზღვისპირა ქალაქებს ჩაძირვის საფრთხეც ემუქრება ზღვის დონის მატების გამო. ბათუმი და ფოთი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. სწორი პასუხია ზღვისპირა.

2. 6-ქულიანი შეკითხვა

ანიმაციაში “შრეკი” სასახლიდან უკანა გზაზე მომავალ შრეკს ტყეში ერთი ცნობილი პერსონაჟი და მისი მეგობრები გადაეყრებიან. სერიალში “ისარი”, მთავარი გმირი გაჭირვებულს უანგაროდ ეხმარება, რის გამოც გმირს ამ ცნობილ პერსონაჟს ადარებენ. დაასახელეთ ეს პერსონაჟი.

პასუხი: რობინ ჰუდი

კომენტარი: როგორც ფოლკლორიდანაა ცნობილი რობინ ჰუდი მდიდრებს ძარცვავდა და ღარიბებს ეხმარებოდა. ის და მისი ბანდა ტყეში ცხოვრობენ, “შრეკი” კი ცნობილია სხვადასხვა ნაწარმოებებიდან პერსონაჟების სესხებით.

3. 7-ქულიანი შეკითხვა

ვიდეოთამაშში “სამარხების მძარცველი” გვხვდება ცნობილი პერსონაჟების ქანდაკებებიც. თუ მთავარი გმირი დასის ქანდაკების კიდურს შეეხება, იგი ოქროდ იქცევა. წინა წინადადების ერთ-ერთ სიტყვაში ჩვენ გამოვტოვეთ მუსიკალური ნოტი. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: მიდასის

კომენტარი: ვიდეოთამაშში გვხვდება იმ მითოლოგიური პერსონაჟის ქანდაკებაც, რომლის შეხებასაც ნებისმიერი ობიექტის ოქროდ ქცევა შეეძლო. თუ მთავარი გმირი შეეხება მიდასის ქანდაკების ხელს, იგი ოქროდ იქცევა. შეკითხვის ტექსტში გამოტოვებული იყო მესამე მუსიკალური ნოტი “მი”.

4. 5-ქულიანი შეკითხვა

ცოტა ხნის წინ კომპოზიტორმა გიგა კუხიანიძემ დაამყარა რეკორდი. საქმე ისაა, რომ ოთხივე სიმღერა, რომლის მეშვეობითაც საქართველომ იქსი მოიგო, გიგა კუხიანიძის დაწერილია. დაასახელეთ იქსი აბსოლუტურად ზუსტად.

პასუხი: საბავშვო ევროვიზია

კომენტარი: საქართველოს საბავშვო ევროვიზია ოთხჯერ აქვს მოგებული და ოთხივეჯერ გიგა კუხიანიძის სიმღერით, რაც რეკორდია. ბოლო საბავშვო ევროვიზია საქართველომ სულ ცოტა ხნის წინ მოიგო, გამარჯვებული გახდა ანდრია ფუტკარაძე.

5. 6-ქულიანი შეკითხვა

ერთი ვერსიით, **ჯორჯ ორუელმა** წიგნში **“1984”** ტოტალიტარული რეჟიმის მმართველს დაარქვა **“დიდი ძმა”** იმიტომ, რომ **არ სურდა**, სახელად **გამოეყენებინა “იქსი”**. იქსის სახელით ცნობილი **პერსონაჟი** გვხვდება სხვა, **თქვენთვის ცნობილ ნაწარმოებში**. დაასახელეთ იქსი **ექვსასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ბელადი

კომენტარი: ვერსიის თანახმად, ორუელმა განზრახ თქვა უარი სახელად სიტყვა **“ბელადის”** გამოყენებაზე და ტოტალიტარული რეჟიმის უხილავ მმართველს **“დიდი ძმა”** შეარქვა. **“ბელადის”** სახელით ცნობილი პერსონაჟი გვხვდება წიგნში **“გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა”**.

6. 7-ქულიანი შეკითხვა

განიხილავდა რა **კაცობრიობის გაქრობის** ვარიანტებს, ამერიკელმა ფილოსოფოსმა ხატოვნად აღნიშნა, რომ ადამიანი შეიძლება **საკუთარი თავის იქსი** აღმოჩნდეს. გამორჩეულად **დიდი იქსი** ხანდახან შეიძლება **მცირე პლანეტადაც** კი **კვალიფიცირდეს**. დანერეთ იქსი **ბერძნული** სიტყვით.

პასუხი: ასტეროიდი

ჩათვლა: მეტორი

კომენტარი: მეცნიერის სიტყვები იყო ალუზია დინოზავრების გადაშენებაზე. მან თქვა, რომ ადამიანი საკუთარი თავის ასტეროიდი გახდება.

7. 5-ქულიანი შეკითხვა

სკანდინავიური მითოლოგიის მიხედვით, **ფენრირი** არის **გიგანტური იქსი**, რომელიც **რაგნაროკის** დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს. **ქართულ ხალხურ ლექსში**, იქსს **ამარცხებს თოფი**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: მგელი

კომენტარი: ქართული ხალხური ლექსის მიხედვით ვენახს ჭამს თხა, თხას ჭამს მგელი, ხოლო მგელს თოფი. ფენრირი გიგანტური მგელია.

8. 6-ქულიანი შეკითხვა

ცოტა ხნის წინ, ნიდერლანდების ერთი გალერიიდან **მოიპარეს ენდი უორჰოლის 4 ნახატი**, თუმცა მძარცველებმა **2 ნახატი ქუჩაში დატოვეს**, რადგან ნახატები იყო **ასეთი**. ფილმში სახელად **“ასეთი”**, **13 წლის ბიჭი სურვილს ჩაიფიქრებს**, რომ გახდეს **კაცი**. დანერეთ **“ასეთით” შეცვლილი სიტყვა**.

პასუხი: დიდი

კომენტარი: მძარცველებმა თავისი სიდიდის გამო **2 ნახატი** მანქანაში ვერ ჩაატყეს და ქუჩაში დატოვეს. ტომ ჰენკსის ცნობილ ფილმში **“დიდი”**, **13 წლის ბიჭი ჩაიფიქრებს**, რომ დიდი გაიზარდოს და აუხსრულდება კიდეც.

9. 7-ქულიანი შეკითხვა

სერიალ “იქსების” ტიტრებში ვხვდებით არა მხოლოდ სახელებსა და გვარებს, არამედ შეიძლება ითქვას მათ იქსებსაც, კერძოდ – სამშობლოსა და დაბადების ადგილებსაც. გამოსახეთ იქსი მათემატიკური სიმბოლოს გამოყენებით.

პასუხი: √

კომენტარი: სერიალ “ფესვების” ტიტრებში იყო მითითებული ქასთის წევრების ე.წ. ფესვები, ანუ მათი სამშობლო და მშობლიური ქალაქები. თქვენ უნდა გამოგესახათ მათემატიკური ფესვის ნიშანი.

10. 5-ქულიანი შეკითხვა

ნაკლებად სარწმუნო ვერსიის თანახმად, ვეფხისტყაოსანში ნახსენები მულაზანზარი შოთა რუსთაველმა ამ კუნძულის გავლენით აღწერა. ამ კუნძულის სახელი ჰქვია **2005 წელს** გამოსულ ანიმაციურ ფილმს. დაასახელეთ ეს კუნძული.

პასუხი: მადაგასკარი

კომენტარი: სიტყვა “მულაზანზარი” ჟღერადობით წააგავს “მადაგასკარს”, რის გამოც, ალბათ, წარმოიშვა ნახსენები თეორია. **2005 წელს** გამოვიდა ცნობილი ანიმაცია “მადაგასკარი”, რომელშიც ზოოპარკიდან გაქცეული ცხოველები კუნძულ მადაგასკარზე ხვდებიან.

11. 6-ქულიანი შეკითხვა

ერთ სერიალში ვხვდებით თეფშზე განლაგებულ ხუთ ფერად დონატს. სერიალის ეს სცენა ეძღვნებოდა იქსს. დაასახელეთ იქსი, თუ გეტყვით, რომ ის ბოლოს **2024 წელს** გაიმართა.

პასუხი: ოლიმპიური თამაშები

კომენტარი: ხუთი დონატი ალუზიას წარმოადგენდა ოლიმპიური თამაშების ლოგოზე, რომელიც ხუთი ფერადი რგოლისგან შედგება. ოლიმპიადა უკანასკნელად წელს გაიმართა პარიზში.

12. 7-ქულიანი შეკითხვა

ერთი ნაწარმოების მოყვარულებმა მოახერხეს წესების საკუთარ თავზე ადაპტირება და საბოლოოდ გამოუვიდათ ხელბურთისა და რაგბის უცნაური ვარიაცია. თამაშისას ისინი ასევე იყენებდნენ ყვითელ ჩოგბურთის ბურთს. დანერეთ, რომელი თამაშის ადაპტირებაზეა საუბარი.

პასუხი: ქვიდირი

კომენტარი: საუბარი იყო ჰარი პოტერის სამყაროში პოპულარულ სპორტზე - ქვიდირზე, რომლის ე.წ მაგლურ ვერსიასაც აღნიშნული ვარიაცია წარმოადგენს და მასში ჩემპიონატებიც კი იმართება.

13. 5-ქულიანი შეკითხვა


1975 წელს გამოსული ეკრანიზაციის ნაწილი ორეგონის შტატშია გადაღებული. ფილმის ამ სეგმენტში ზოგიერთი როლი ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებმა და ამავე კლინიკის ხელმძღვანელმა შეასრულეს. დაასახელეთ ეს ეკრანიზაცია.

პასუხი: გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა

კომენტარი: ეკრანიზაციის ნაწილი იმავე შტატის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიღეს, რომელშიც ნიგნის მოვლენები ვითარდება. საინტერესოა, რომ ეპიზოდურ როლებში კლინიკის რეალური პაციენტების ნახვაც არის შესაძლებელი.

14. 6-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა



] თქვენ წინაშეა **ტრადიციული ბერძნული ორნამენტის - მენდრას** მაგალითი. ერთი ვერსიით, აღნიშნული ორნამენტი უკავშირდება **მითოლოგიას**, რადგან ორნამენტი **მოგვაგონებს იქსს**. დაასახელეთ **მითოლოგიური არსება**, რომელიც **ცხოვრობდა იქსში**.

პასუხი: მინოტავრი

კომენტარი: მოცემული ორნამენტი ნააგავს კლასიკურ ლაბირინთის თავსატეხს. ბერძნული მითების თანახმად, ლაბირინთში ცხოვრობდა მინოტავრი, რომელიც გმირმა თეზევსმა მოკლა.

15. 7-ქულიანი შეკითხვა

1940-იან წლებში **ისრაელი** შვიდ არაბულ ქვეყანას **ერთდროულად დაუპირისპირდა**. ერთი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში **ისრაელი იქსს არ უნდა შევადაროთ**, რადგან მათ **არა შურდული**, არამედ **თანამედროვე საბრძოლო ტექნოლოგიები** ჰქონდათ. დანერგეთ იქსი ერთი სიტყვით, თუ გეტყვით, რომ იქსი ასევე **რენესანსის ეპოქის ნამუშევრის** სახელწოდებაა.

პასუხი: დავითი

კომენტარი: საუბარი იყო ბიბლიური დავითისა და გოლიათის ეპიზოდზე, როდესაც დავითმა შურდულით დაამარცხა ბევრად დიდი მონინაალმდეგე. ისტორიკოსმა აღნიშნა, რომ ისრაელის არმია უკეთ შეიარაღებული იყო ვიდრე ბიბლიური პერსონაჟი. მიქელანჯელოს “დავითი” რენესანსის ეპოქის ცნობილი ნამუშევარია.